# ნიანგი

21

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1463). ნოემბერი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. დ. ერისთავისა

— აბა, ყველამ ერთად: კაპიკი გ-ა-კ-ა-პ-ი-კ-ე-ბ-უ-ლ-ა
კაპიკი გ-ა-კ-ა-პ-ი-კ-ე-ბ-უ-ლ-ა!...

## გალაკტიონი

# ოქტომბრის სიმფონია

ოქტომბერი — გენიის
უმძაფრესი ქნარია.
ოქტომბერი — იმხნითვე
ჩვენი მეგობარია.

ოქტომბერი — სამშობლო
არის ნათელ ლექსების.
ოქტომბერი — წინსვლაა
ქვეყნის ერთ მეექვსედის.

ოქტომბერი — სარკეა
დღეთა ახალ შესახვის.
ოქტომბერი — საგმირო
დღეებისკენ გვეძახის.

ოქტომბერი — დროისა
და სივრცეთა მდევია.
ოქტომბერი — ცხოვრების
საზღვრების გამწევია.

ოქტომბერი — გრდემლია,
შრომა და თავდადება.
ოქტომბერი — ველია,
მზით რომ ათავთავდება.

ოქტომბერი — მრავალთა
სასოებით ნაზარდი.
ოქტომბერი — ერების
მხსნელი ფარ-მუზარადი.

ოქტომბერი — ყოფნაა,
ძმურ კავშირში წრთობილი.
ოქტომბერი — მიზანი
არის კეთილშობილი.

ოქტომბერი — მოსული
ამ მშვენიერ მიზნისგან.
ოქტომბერი — ბრწყინვალე
გზაა კომუნიზმისკენ!



ნახ. ზ. ნიჟარაძისა

— ეგ რა არის, თუ ბიჭია, ჩვენი დირექტორის კაბინეტში შევიდეს!

ზნაურის რაიონის სოფელი მუგუთი არაფრით განსხვავდება ამ რაიონის სხვა სოფლებისაგან. აქ, როგორც სხვაგან, არიან მშრომელი, გამრჯე და სტუმართმოყვარე ადამიანები... აქ, როგორც სხვაგან, არის სკოლა, კლუბი და... სოფლის მაღაზია. ამ მაღაზიას, როგორც სხვაგან, ჰყავს თავისი გამგე-გამყიდველი ,ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჰყავს ნამდვილი ბატონ-პატრონი. დიახ, მუგუთის მაღაზია ფედია სერგოს ძე ბესტაევის კუთვნილებაა!

როგორ? ჩვენში, 1975 წელს ,კიდევ არსებობს საკუთარი მაღაზიები? — გაიკვირვებს ყველა არამუგუთელი, უფრო ურწმუნო თომა კი თავისი თვალით ნახვასა და თავისი ყურით გაგონებას მოინდომებს, ავა მუგუთში, მონახავს მაღაზიას და იკითხავს:

— ეს სოფლის მაღაზიაა?

— ეგრე ეძახიან!

— სად არის გამგე-გამყიდველი?

— ხვალ რა ამინდი იქნება, გეტყვი, როგორი მოსავალი იქნება, გეტყვი, როდის აშენდება ზნაურში ნორმალური სასტუმრო, დაახლოებით იმასაც გეტყვი, მაგრამ ფედია ბესტაევი სად დააქროლებს თავის ,,ჟიგულს" ვერც მე გეტყვი და ვერც სოლომონ ბრძენი.

ურწმუნო კაცი თუ არ შეეშვება კითხვებს, იმასაც კი მოახსენებენ, რომ ფედია მარტო მაღაზიაში კი არ ვაჭრობს, არამედ თავის თუ სხვის ბინაშიც. ,,ჰმ, ენას ძვალი არა აქვს!". — იტყვის ფედია ბესტაევი და ამიტომ ჩვენც მივმართოთ სიჯიუტით ცნობილ ფაქტებს.

ეს იყო გასული წლის 23 ნოემბერს. ფ. ბესტაევმა ორკვირიანი შვებულება აიღო და, როგორც ჭეშმარიტ მესაკუთრეს შეჰფერის, საკუთარი მაღაზია საკუთარ მეუღლეს — ვალია ჩაისის ასულ ჯუსოევას გადააბარა.

ვალია ჩაისის ასული ვაჭრობის მუშაკი არაა, იგი პედაგოგია და ბავშვებს ისტორიას ასწავლის (სხვათა შორის, ფედიას შრომის წიგნაკშიაც აღნიშნულია, რომ იგი პროფესიით მძღოლია). აბა, სად მოიცლიდა ვ. ჯუსოევა გაგანია სწავლის პერიოდში სოფლის მაღაზიაში ევაჭრა? მით უმეტეს, რომ მაღაზია სოფელ მუგუთშია, სკოლა კი — სადაც ვალია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, სოფელ ავნევში.

და დაედო წელიწადი თორმეტი თვე ორი ბოქლომი კოოპვაჭრობის ამ ობიექტს და დაიდო საიმედოდ ბინა ბოქლომის გასაღებმა მისი პატრონის, იგივე ფედია ბესტაევის ჯიბეში.

თვით შემმოწმებელსაც კი ერთობ გაუჭირდება ამ მაღაზიის გაღება, რადგან მაღაზია აბარია ვალიას, გასაღები კი აბარია ფედიას, თუ მიაკითხავენ ვ. ჯუსოევას, იტყვის, რომ გასაღები ფ. ბესტაევს აქვს. ფ. ბესტაევს რომ მიაკითხავენ, იტყვის, მაღაზია ვ. ჯუსოევას აბარია და მას უფლება არა აქვს, გააღოს იგი. მაგრამ თუ ამ ხერხმა არ გაჭრა და მაღაზიის კარი მაინც გაიღო, შიგნიდან თაგვის ისეთი სუნი გამოვარდება, რომ მთელი სოფლის კატები ნერწყვმორეულები შევარდებიან მაღაზიაში, ხოლო თუ კაცმა მოახერხა შიგ შესვლა, თვალში ეცემა: კამფეტები, გაფუჭებული ნამცხვარი, ხელიდან წასული კარაქი, ლაფგადასხმული სამრეწველო საქონელი (რადგან წვიმა ჩამოდის), ოდესღაც პეწიანი, თაგვისაგან საყელომოჭმული პალტო და, ჰოი, საოცრებავ! — დეფიციტური იმპორტული საქონელი ,რომელიც ეჭვიან დეტექტივს დააფიქრებს: ხომ არ არის მაღაზია შირმად გამოყენებული? ხომ არა აქვს ადგილი ვაჭრობას დეფიციტური საქონლით მაღაზიის გარეშე? ეჭვი გაორკეცდება, თუ მაღაზია გეგმებს ას-

# ცხოვრების ანბანი

მეზობლის მამალმა მეზობლის დედალი
რომ შეიყვარა,
გასტრონომს მიადგა და სატრფო ნეტარი
შიგ შეიყვანა!..
აჩვენა ნოქარი: მოტვლეპილ კეფაზე
ჩაჩი ეფარა,
დაკლული ქათმები მაცივრის თახჩაზე
ბლომად ეყარა.
გამხდრები, გამხდრები, ძვლები, ვით ჩხირები,
სხვადასხვა ზომისა,
ლურჯები, ფართალის ნემსივით წვრილები,
ბუმბულის წონისა...
და უთხრა: „ხომ ხედავ, ზოგი ვით წვრილდება
მიხვდი და ისწავლე!
ვიღაცის შიმშილით ვიღაცა მდიდრდება,
ეს არის სიმწარე!
ამ საწყლებს ფერმაში ვიღაცა „კომბინკორმს“
ჩუმ-ჩუმად ჰპარავდა...
და მერე ქურდსა და ქონებით ღმერთის სწორს
ვიღაცა ჰფარავდა...
და ეს კი, ახლა რომ სასწორზე შემოდეს,
ყიყლიყოს იძახდა,
მთელი დღე, ქაქანით აქებდა შემოქმედს,
იმის მზეს ფიცავდა...
და შენც თუ არ გინდა მათსავით გაწვრილდე,
ზეზეურ ჩამოხმე,
გეკუთვნის? მოთხოვე, არასდროს გატვრინდე,
არავის ჩამორჩე!“
ისწავლა დედალმა მეუღლის ნისკარტით
ცხოვრების ანბანი,
კაპიკს რომ აკლებდნენ, მისდევდა სიმწარით,
ჩხუბით და კაკანით.
„კომბინკორმს“ ვინ ჩივის? გაქექილ ნაგავსაც
არავის უთმობდა:
„რად მივცე? მშიერი დავტოვო ნაგრამი?
დედ-მამა უცხონდათ!..“
და ასე სიტკბოთი ერთმანეთს შეადნენ
ჭკვიანი ქათმები...
მ ო რ ა ლ ი: თუ შენსას არავის შეარჩენ,
არასდროს წახდები!

**ვალერიან მამუკელაშვილი**

ნახ. მ. აბაშიძისა



— როგორ გავაკრიტიკო, კაცო, მის ხელში ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს და თუ ბაზებიდან უხვადაა გამოტანილი დეფიციტური საქონელი.

ოჰ, ეს დეტექტივები, რას არ იფიქრებენ! მაგრამ ყველაფერს დამტკიცება უნდა.

ვისაც რა უნდა, ის იეჭვიანოს, მაგრამ ამდენი საქონელი რომ წყალში გადასაყრელი გახდა, მართლა წყალში გადაყრიან თუ აღრიცხავენ, ზარალს დაადგენენ, მიზეზს გაარკვევენ და პასუხს მოითხოვენ? ამბობენ, ზნაურის რაიონის კოოპვაჭრობის მაღაზიებში ცოტ-ცოტა საქონელი ყველგან ფუჭდებაო, რომ წლის ბოლოს მათი ჩამოწერა ხდებაო. და რომ ამის მიზეზი ტექნიკურ-მატერიალური ბაზის უქონლობააო. დიახ, ესეცაა!

ზნაურის რაიონში მაღაზიები ტექნიკურად ცუდადაა აღჭურვილი, მაცივრები ნახევრად არ მუშაობს ,მაღაზიები მოუხერხებელ შენობებშია, ცუდადაა სასაწყობო მეურნეობების საქმე, აქ სამოცდათექვსმეტი სავაჭრო ობიექტიდან ოცდაშვიდი დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული, რისთვისაც კოოპერაცია ყოველ წელს 8 ათას მანეთს იხდის.

აბა, ერთი, ყაირათიან კაცს ვკითხოთ: ჩამოწერილი საქონლის თანხა და ქირაში გადახდილი ფული რამდენ თანამედროვე, კომფორტაბელურ მაღაზიას ააშენებდა? იგი არც დაფიქრდება ,ისე გაგცემთ პასუხს.

ბოლოს და ბოლოს, ანგარიშის საქმე არ არის?

*გარი მეტრეველი*
*თამაზ ჭეიშვილი*

**რიგის** მოლოდინში ქალ-ვაჟმა ბაასი გააბა:

— თანახმა ხარ?
— კი!
— შენ?
— მეც!
— მოაწერ ხელს?
— კი!
— შენ?
— მეც!
— ხომ კარგად გახსოვს?
— რა?
— ბაზარში სიარული რომ არ მიყვარს! — თქვა ვაჟმა.
— კი! — ჩაილაპარაკა ქალმა.
— არც საოჯახო საქმეებში მოხმარება!
— კი! ეგეც მახსოვს!
— სამაგიეროდ, სმა-ჭამასა და დროსტარებაზე რომ ვგიჟდები, ხომ იცი?
— ვიცი.
— ზოგ-ზოგების მიტყეპვაც რომ მიხდება, როცა ფულს მთხოვენ, ეგეც ხომ იცი!
— კი!
— და მაინც თანახმა ხარ?
— კი!
— მაშ, მოვაწეროთ ხელი!

ერთი თვის შემდეგ განქორწინება გაფორმებული იყო...

**მალხაზ ცოტაძე**

ნახ. ზ. ნიჟარაძისა




— ხიზილალა მართლა გაქვთ?
— დიახ, გადრიჯნის.

# დიდი ხათრით

— არ გაიყვანა ერთი საათი?!

— რა აქვს ამდენი სალაპარაკო!?

— ეშმაკმა იცის მაგისი თავი!

— პირი თუ არ აუკარი, მაგი არ გაჩერდება!

— კი არ ფიქრობს, ჩვენც რომ ხალხნი ვართ, ჩვენც რომ გვაქვს სალაპარაკო!

— ეს ტელეფონი საკუთარი ხომ არ ჰგონია!?

— კაცი თუ ხელში ჩაიგდო, იმდენს ექაქანება, მთლად გამოაშტერებს!

— საცოდავი! ნეტავი, ვინ გამოიჭირა?!

— უთხარი, ქალო, რამე! იქნებ დადოს მაგი ყურმილი!

— ვერ ხედავ, ფეხებზე ვკიდივართ?!

— დამაწყდა მუხლები!

— ბოლო ვინ არის?

— მე ვარ!

— შენს შემდეგ მე ვიქნები! თუ ვინმე მოვიდა, ბავშვის მისახედად წავიდა და ახლავე მოვათქო!

— ეგლა გვაკლდა!

უცებ ვიღაცამ იკივლა, მიშველეთო. ეს ჩემი ცოლი იყო. ალბათ, ნერვებმა უმტყუნეს... გული წაუვიდა...

— არიქა, ექიმს გამოუძახე! — მირჩია ვიღაცამ.

ტელეფონისკენ გავქანდი.

— თუ შეიძლება, დამარეკვინეთ! სასწრაფო დახმარებას გამოვუძახებ! — შევძახე სასოწარკვეთილმა.

— ურიგოდ? — დაიბღავლა ვიღაცამ.

— აბა, რა?! ტელეფონი მაგისია, ჯიხურში კი არ ხარ, შე კაცო! — შენიშნა ერთმა მადლიანმა მეზობელმა.

ბოლოს, ანგარიში გამიწიეს და ჩემი სახლიდან, ჩემივე ტელეფონით (დიდი ხათრით!) სასწრაფოში... ურიგოდ დამარეკვინეს!

**ვლადიმერ ასლამაზიშვილი**

## ერთი, ორი, სამი...

ე რ თ ი — სუფრის გაშლა,
ო რ ი — თბილი გული,
ს ა მ ი — მჟავე, ყველი,
ო თ ხ ი — კიტრი, პური

ხ უ თ ი — ღორის მწვადი,
ე ქ ვ ს ი — კონიაკი,
შ ვ ი დ ი — ჩაქაფული,
რ ვ ა — სოკო, ტაბაკი.

ც ხ რ ა — ხაშლამა, თევზი,
ა თ ი — მიდი-მოდი..
ო თ ხ მ ო ც დ ა ც ხ რ ა მ ე ტ ი!
— აი, თქვენი „სჩოტი"!

მე რასაც მაჩუქებთ,
იყოს თქვენი ნება!
გადიხადეთ დროზე,
ხალხი მელოდება!..

ბევრგან, საზკვებაში,
დღესაც ასე ხდება:
დანახარჯზე მეტი
„მიდი-მოდი" ჯდება!..
მიმტანთა პარპაში
ძველი გზით გრძელდება!..

**ილია შარაშენიძე**
**წითელწყაროს რაიონი**

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ამ მტკვარზე ბანაობა, თევზაობა, ნავით სეირნობა აკრძალულია, რაღა შეიძლება ნეტავ!
— ნაგვის ჩაყრა.

## როგორ დავიკელი წონაში

ჩემზე მძიმე წონის მობინადრე არ მოიძებნებოდა მთელ კვარტალში: 50 წელს რომ მივაღწიე, 125 კგ-ს მივუკაკუნე.

სირბილი რაღა სათქმელია, როცა კიბეზე ასვლა ისე მიჭირდა, ლამის საკუჭნაოში ჩავსულიყავი საცხოვრებლად.

რა წამალი, რა დიეტა არ ვიხმარე, მაგრამ არაფერმა გასჭრა, ჰაერის ჩაყ[illegible]ნთქვითაც კი წონაში ვიმატებდი. ვაშლის პიურეთი შეზარხოშებულს არაფერი მიწიერი არ მიზიდავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ფრაუ კარიზეს ქულებიანმა დიეტამაც ვერაფერი დამაკლო.

ერთ დღეს ჩემმა მეუღლემ, რომელიც ოჯახში მატრიარქატის რენესანსის აქტიური მქადაგებელი გახლავთ, საგანგებო დავალება მომცა: „აპალონ, ბინის გადაცვლა უნდა მოახერხო, რათა ნათელასთან ახლოს ვიცხოვროთო!" (ნათელა ჩვენი ქალიშვილია, იგი საბურთალოს მასივში ცხოვრობს თავის მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. ჩვენი ბინა კი ე. წ. ნახალოვკაში გახლდათ).

უარის თქმა ვერ გავბედე, თუმცა სოფი ლორენს რომ შემოეთვალა: „ჩემო აპალონჩიკ, გაცვლის ბიუროში გელოდებიო", ნამდვილად უარით გავაწბილებდი.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, სამი თვის შემდეგ ჩანაწერების გარეშე შემეძლო სხაპასხუპით მეთქვა, ვინ, სად და როგორ აპირებს ბინის გაცვლას ქალაქის ფარგლებში. ამავე სამ თვეში... თუ დაიჯერებთ, 22 კგ დავიკელი წონაში.

მეშვიდე თვის დასასრულს ბინაც გადავცვალე, ერთი ორმოცი კილოც გავატანე და სხეულის წონის ფრანგულ ნორმას მივაღწიე.

ზემძიმე წონის მოქალაქენო! გადაცვალეთ ბინები, ეს წონაში დაკლების უებარი საშუალებაა!

**თეიმურაზ ბზიაშვილი**



ნახ. ჯ. ლოლუაძე

— სანამ კრებას არ ჩავუტარებთ, მამას ისე აღარ ეძინება.

ნახ. გ. ფირცხალავასი



დიეტაზე

## რა იქნებოდი...

არც რა სიკეთე,
არც რა ღვაწლი,
ჩაიღიმილებ ხოლმე ბოროტად!..
რა იქნებოდი,
მაშ, ჩია კაცი,
დიდი ღვარძლი რომ არა გქონოდა!..
არაუფერულ დღეების ნისლი,
დილა-საღამო ჩავლილი უქმად,
შენ სიხარული გაშფოთებს სხვისი,
ალალი შრომა,
ალალი ლუკმა!...

შენ წარმატება გაშფოთებს სხვისი —
კეთილი ნიჭის შუქი და მადლი,
ლანძღავ, რაც არის შექების ღირსი,
თავს კი ხოლომონ ბრძენთა-ბრძენს
ადრი!..
აღარ გახვენებს ეს გული კრული,
რას არა ჩმახავ,
რას არა ბედავ,
თუ რამე მოგკლავს,
შენ მოგკლავს შური —
„ურვა მოყვასის კეთილსა ზედა".

**მზია ჩხეტიანი**

## ფილოსოფიზმები

● **ფსევდონიმი** რომ აირჩიო, ჯერ სახელი უნდა გქონდეს.

● **ზოგჯერ** ნაწარმოების ავტორს უფრო ხშირად ახსენებენ, ვიდრე — თვით ნაწარმოებს.

● **ხელოვნება** მსხვერპლს მოითხოვს! — განა ეს ჰუმანური ლოზუნგია?

● **ყველაზე** ხმამაღლა სიჩუმეს თხოულობენ.

● **მხოლოდ** მშობლებს შეუძლიათ ნორმალური ბავშვის ვუნდერკინდად გარდაქმნა.

**ა. ეინგორინი**

ნახ. გ. ფირცხალავასი



უსიტყვოდ

## ჩაშლილი პაემანი

**როდესაც** ბინის ორდერი ჩავიბარეთ და მეხუთე სართულზე შევსახლდით, ჩვენს [illegible] და ათქამ-ჩამოქცეულ ბინაში სამი დღე და ღამე გაისმოდა „მრავალჟამიერი". დამთავრდა წლების მანძილზე ნავთქურასთან დილიდან საღამომდე ბრძოლა.

იმ საღამოს [illegible] მოსალოდნელი პაემანისათვის დილიდანვე დავიწყე მზადება. საბაზანოდან [illegible] გორი ამინდია-მეთქი. როდესაც მომახსენეს, იმისთანა თავსხმაა, ძაღლი გარეთ არ გაიგდებაო, არ დავიჯერე და თვითონ გავყავი თავი. გუნებაგაფუჭებული პაემანს უკვე ჩაშლილად ვთვლიდი, მაგრამ, ჩემს ბედზე, ზუსტად ერთი საათით ადრე გამოიდარა. წარჩინებულ ჯარისკაცს შეშურდებოდა, ისეთი სისწრაფით ჩავიცვი და, სასიძოსავით გაწკრიალებული, ქუჩაში გამოვედი. გამოვედი და, თქვენს მტერს რაც დღე დამადგა! გვაზაურის ქუჩა ვეებერთელა ხევს დამსგავსებოდა. ზემოდან წამოსულ ნიაღვარს შენაკადებივით ერთვოდნენ მიმდებარე ჩიხებიდან გამომდინარე პატარ-პატარა ღელეები. დიდი ვაჟკაცობა იყო საჭირო იმისათვის, რომ იმ ადგილებიდან, სადაც მე ვიდექი, ხევის, უკაცრავად, ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავი... უკან დასახევი გზა აღარ მქონდა, მთელი დღის ნალოლიავები შარვლის ტოტები გულმოდგინედ ავიკაპიწე და, ის იყო, მდინარეში უნდა შემეტოპა, რომ უკნიდან ძლივსგასაგონი ჩიფჩიფი შემომესმა.

— შვილო, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, იქითა ნაპირას ხომ ვერ გადამიყვანდი?! — მოხუცი ხელში ავიტაცე და, სალსალამათი, მეორე ნაპირას ჩამოვსვი. ამის შემდეგ ბავშვიან ქალსა და ბაზრიდან დაბრუნებულ ჩვენს კარის მეზობელს აღმოვუჩინე დახმარება. იმათ მოჰყვა ორი პირველკლასელი გოგონა და სოფლიდან შვილთან სტუმრად ჩამოსული ბერიკაცი, ტიკითა და ვეება ხურჯინით. როცა საათის პატარა ისარი შვიდს მიუახლოვდა, ხოლო დიდი კი — ათს, შეშლილივით გავიჭერი ავჭალის გზატკეცილზე...

ლიას იმ დროს მივუსწარი, როცა გულმოსული უკან გაბრუნებას აპირებდა, ხელი ვტაცე და ჩემკენ შემოვატრიალე.

— ხომ არ დამაგვიანდა? მე მგონი, ზუსტად მოვედი! ახლავე ყველაფერს გიამბობ! — ენად გავიკრიფე მე. ლიამ ჯერ თავიდან ფეხებამდე ამათვალიერა, შემდეგ ზურგი შემაქცია. მე მის ჩანთას წავწვდი. ქალიშვილმა არც აცია, არც აცხელა, ჩანთა გამომგლიჯა და კივილი მორთო, მიშველეთ, ხულიგანი მძარცვავსო! სასოწარკვეთილებისაგან მუხლები მომეკვეთა. აქეთ-იქიდან რაზმელები რომ არ ამომდგომოდნენ, ალბათ, კიბეებზე ჩავიკეცებოდი. როდესაც მილიციის განყოფილებაში მიმიყვანეს, ანაზდად კედელზე ჩამოკიდებულ ვეება სარკეში ჩემს გამოსახულებას მოვკარი თვალი... ვაი, შენს გოგიას! შარვალაკაპიწებული, ერთიანად ლაფში ამოთხვრილი საკუთარი თავი ძლივსღა ვიცანი. ჰოდა ახალგაცნობილ ქალიშვილს რომ ვერ ვეცნე, განა რა გასაკვირია?!

ახლა საკანში ვზივარ და, ხულიგნობისათვის თხუთმეტდღემისჯილი, მეხუთე დღე-ღამეს ვათავებ... რომ გამოვალ, წერაქვსა და ნიჩაბს ავიღებ, დღესა და ღამეს გავასწორებ, და იმ ხევს მართლაც ქუჩად ვაქცევ. თუ ამანაც არ გასჭრა, რეზინის ნავს შევიძენ, საზოგადოებრივ საწყისებზე მაშველთა რაზმს ჩამოვაყალიბებ უამინდობაში მოხუცების, ბავშვებისა და ინვალიდების გადასარჩენად. ალბათ ვიღაც-ვიღაცები იტყვიან, თავში წერაქვიც გიხლიაო! დაე, თქვან! განა არ კმარა ერთი მსხვერპლი?!

**თ. ჟეიშვილი**

ნახ. გ. ლომიძისა



უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუციასი



— რა ვქნა? ვერ იქნა და ვერ ისწავლა ამ შამპანურის გახსნა!...

# რა ქნას პეპელამ?

გათენებამდე ვასწრებ ფელეტონებისა თუ იუმორისტული ნაკვესების დაწერას. (ისე, კაცმა რომ თქვას, რა მეიუმორება?!) 8 საათზე რძის ნაწარმისათვის გავრბივარ, მერე — ბაზარში. სადგურში რომ კაცი ფეხზე დამდგარი ჭამს, ისე ჩავყლაპავ რაღაცას და მივდივარ სამსახურში, კიბეზე კი მესმის ცოლის მოძახილი — სხვადასხვა „ინსტრუქციები", მაგრამ შემეწია ღმერთი, ლიფტით ჩავდივარ და ვერ ასწრებს ბოლომდე მითხრას, რა დავალებები მაქვს სახლში მოსვლამდე შესასრულებელი.

როცა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ჩემს იუმორესკებს ვნახულობ, იმ დღეს ძალიან კარგ ხასიათზე ვარ (ეს არც ისე ხშირად ხდება!) ჯერ ჰონორარი მახარებს, შემდეგ — ჩემი ნაცნობ-მეგობრებისა და თანამშრომლების აზრი და რეაქცია.

ჰოდა, ერთ ასეთ ბედნიერ დღეს, კარგ ხასიათზე მივედი სამსახურში, ვღიღინებდი. კარებში მდივანი ქალი, ზინა, შემომხვდა:

— მიმღერე რამე, თუნდაც, უკვე მრავალჯერ ნამღერი! — მომიმღერა ზინამ, — ბატონო ჟორჟიკა, არსენიჩი გთხოვთ კაბინეტში! როგორც მოვა, შემოვიდესო!

მექანიკურად დავხედე საათს: გაჭიმული 9 იყო, ე. ი. არ დამიგვიანებია. აბა, რაშია საქმე? გულმა უმატა რახუნს! მოკრძალებით შევაღე არსენიჩის კარები:

— შეიძლება, ბატონო? — ისე ვიკითხე, გეგონებოდათ, სასამართლოს განაჩენის მოსასმენად შევდიოდი.

— შემოსული ხარ შიგ და ახლა კითხულობ, შეიძლება თუ არა?! — ჩემს ბედზე ტელეფონი აწკრიალდა. დრო ვიხელთე და იქვე, წითელი ტყავის სავარძელში მოვკალათდი. არსენიჩი ძლივს მიხვდა, რომელი ფერის ტელეფონი რეკავდა. ბოლოს მწვანე აიღო:

— დაა! — ჩასძახა ყურმილში,• — დაგწვა ცეცხლმა! ვეღარ გევიგე, რომელი რეკავს! ზინა, ზინა, გადეიყვანე შენთან ტელეფონი და უთხარი, ზანიატია-თქო!

თვალი თვალში გამიყარა:

— ამხანაგო ჟორჟიკა! მწერლობა და იუმორისტობა კარგი საქმეა, მაგრამ არ უნდა დაუკვირდე, რას წერ და ვისზე წერ?!

— არსენიჩ, არ მესმის, რა დავწერე ასეთი, რომ თქვენი რისხვა დავიმსახურე? — ამაკანკალა მე.

— რა დაწერე და, ჩემი დაბადების დღეზე რომ იყავი, ჩემი სიდედრის, ქალბატონი დეზის, სადღეგრძელო ოთხლიტრიანი ყანწით რომ შესვი და თამარ მეფეს შეადარე, მერე ძაღლი გახადე, ხომ?!

— როგორ გეკადრებათ, არსენიჩ! დეზი ჩემი მეზობლის ძაღლია და იმაზე დავწერე, თქვენი სიდედრი რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ იმასაც დეზი ჰქვია, დეზდემონა! შემოკლებით დეზი!

— არსენიჩ, მე მაგას არ დავკვირვებივარ და არც მახსოვდა! — ამოვილუღლუღე მე. შექსპირიც ახრჩობინებს ოტელოს დეზდემონას, რას არ სწამებს იმ პატიოსან ქალს!.. რა მოხდა მერე?! — ვიმართლე თავი.

— ის მოხდა, რომ ისეთი სახელები მონახე, შენს გარშემო მყოფ ნაცნობებს არ ერქვას!

— როგორ მოვნახო, არსენიჩ, ისეთი სახელები?! მე ხომ ჩემს კუთხეზე, ჩემს საყვარელ ხალხზე ვწერ, ნაკლზე მივუთითებ და ვცდილობ, დავანახო ჩვენი უარყოფითი და დადებითი მხარეები. როგორ მოვნახო ისეთი ქართული სახელები, ვინმე ჩემს ნაცნობს ან ნათესავს რომ არ ერქვას? ხან ერთს ვიმდურებ და ხან მეორეს. არის ჩემთან ერთი რეკვა:

— ჟორჟიკა, ჩემი შვილის მეტი სამასხრო ვერ ნახე?!

— ბიჭო, შენზე სამასხრო სახელი ვისა აქვს, წერე ჟორჟიკაზე!

— ჩემს ცოლს პეპუშა რომ ჰქვია, არ იცი?!

— ვინაა, ბიჭო, შენი დურაქი სიმონა?!

უმეტესობა კი:

— გენაცვალე, ჟორჟიკა, ხელებში და ჭკუაში, გული რომ მომფხანე იმ ფელეტონით! ხომ მოხვდა იმ ინტრიგან პოლიგონეს!

ბოლოს და ბოლოს, მე ჩემს ხალხზე ვწერ. ჰერტრუდა, ჰანსი, მატილდა, ჯონი, ბრიჯიდა არც ერთი არ მყავს ნათესავი და არც ვწერ მათზე.

კაცს კაცის სახელი უნდა ერქვას და ძაღლს — ძაღლისა! ასე იყო მუდამ!

აბა, რა ქნას საწყალმა პეპელამ?!

თინა ჟორჟოლიანი.

ნახ. მ. აბაშიძისა



კომბინატორის სახლის კარები

## მინიატურები

— ჰაი დედასა, ვეფხიავ!

— მაჰხდა რამე?

— ერთ მოკლულ მგელზე რომ ორმოცდაათი მანეთია დაწესებული ჯილდოდ, რაი გინდა გააწყო?

— მერე, შენ რა გადარდებს?

— რაღა რაი, ბეჩავო?! გასწყვეტენ ნადირს ტიელნი და მერე ვისლა დავაბრალოთ ცხორის დაკარგვა?!

* * *

— არ მინდა თვალხუჭობანას თამაში! მამაჩემი მაგის გულისთვის დასაჯეს!

თ. ჟ.



ნახ. გ. ლომიძისა

უტექსტო

ნახ. ზ. ნიჟარაძისა



— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ნასვამი ხართ?!
— რა ვქნა, უფროსო, დღეს იმდენმა მთვრალმა მძღოლმა შემომასუნთქა, რომ ცოტა შევთვერი...

# გვიშველე რამე, ნიანგო!

**ვაჟა-ფშაველას** გამზირის პირველ შესახვევში (№ 3), პროფკავშირების სასახლის უკან, ხუთ წელიწადზე მეტია დგას უტელეფონოდ დარჩენილი ათსართულიანი, ორას ორმოცდაოთხბინიანი ე. წ. საჩვენებელი კოოპერატიული სახლი („საბურთალო-82"). არამცთუ სახლში, მის ახლომახლოსაც არც ერთი ტელეფონი ავტომატი არ დგას, რომ, როცა გასაჭირი დაგვადგება, სადმე დავრეკოთ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა დღეში იქნებიან აქაური მობინადრეები სასწრაფო დახმარების გამოძახების ან სხვა უბედური შემთხვევის დროს. მრავალ ინსტანციას მივმართეთ, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა!..

გაჭირვებულთა მშველელო, შენ გევედრები, ნიანგო! —
ჩვენი წამების მიზეზსაც იქნებ, როგორმე, მიაგნო!

ისმინე ესე ამბავი, დაგვდე ამდენი პატივი! —
მოწყვეტილია სამყაროს ჩვენი კოოპერატივი!..

ჩვენი ტანჯვა და ვაება ,,არ ახალია, ძველია",
უტელეფონოდ დაგვტოვეს აგერ მეექვსე წელია!..

არც საჩივარი შეგვითხზავს, არც — უსახელო ბარათი,
არზებით, ხვეწნა-ვედრებით დავალთ კარიდან კარამდი.

გვეუბნებიან: რა გიყოთ?! არ გვაქვს კაბელის ფონდიო!..
ამისთვის შევწუხებულვარ, ამაზე დაგიღონდიო.

ორი პროექტი დაძველდა, მალე მოგვთხოვენ მესამეს,
რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ, ნიანგო, შენი კვნესამე!

გვიშველე რამე! მოგვბეზრდა ამდენი გაწამაწია! —
ან ხაზი გამოიყვანონ, ანდა დაგვიდგან ,,რაცია!"

**არველოდი წინწავა**

# იცით, განა?

ცხრა სოფელი ატირდება:
წყლები წყდება თანდათანა!..
,,ვინა გვღუპავს, გაგვარკვიეთ!" —
გადავძახოთ ბანდაბანა.
ტყეები რომ იკაფება,
თქვენ გგონიათ, — ხანდახანა?
შეშა არის თუ მასალა,
იყიდება განდაგანა!..
ტყე ჰქვია და ხე არა დგას,
მაღალი და ტანლატანა.
ცოტა ხანიც თუ გაგრძელდა,
სულ შეწყდება წყალი, განა!
თვალი უნდა გაახილოს
ბევრმა ვინმემ ხანდახანა!..
მიზეზი კი, სანამ დრომა,
გაიგება თანდათანა.
ჰოდა ,მერე, ვინც ღირსია,
მან იცეკვოს ,,განდაგანა"!..

**შოთა ხოდაშნელი**

771
19 წ.



— თევზი ვარ, თევზი „ციმორი", ძვირფასო ნიანგო! წყლიდან ამომიყვანეს და პირი წყლით აღარა მაქვს სავსე. ქარელიდან ქვიშხეთამდე მდ. მტკვარში ვბინადრობთ, მაგრამ ბრაკონიერები დაგაყენებენ? ასნაირ მახეს გვიგებენ, გამრავლების საშუალებას არ გვაძლევენ. ზამთარში ყინულის ქვეშ გვეძებენ, გვწამლავენ და გვანადგურებენ, შემდეგ ჩუმად შავ ბაზარზე გვყიდიან მამელუკებივით. გვიშველეთ რამე, დროზე მოგვხედეთ, საგუშაგოები დადგით, ჩვენი დამჭერები თქვენ დაიჭირეთ, თორემ თქვენი შვილები „ციმორს" მხოლოდ წიგნებში ამოიკითხავენ!

* * *

— გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახიდანა ვართ, ჩვენო ნიანგო! დაიჯერებს განა ვინმე, რომ ბავშვებს სკოლაში, ჩანთასთან და წიგნებთან ერთად, წყალს ვატანთ?! განა, აბანო უწყლოდ იმუშავებს? აბანოს ვინღა ჩივის, პირის დასაბანი წყალი არა გვაქვს...
— აი, ახლაც არ დაიჯერებენ, რომ კარდანახელი კაცი ღვინოში წყალს არ გაურევს.
— ეგ კი არა, ლამის არის, ღვინით პირი დავიბანოთ!

* * *

— ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის მცხოვრებნი მოგმართავთ. მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება, რომ არც ერთი სოფელი არ დარჩეს სასმელი წყლის გარეშე. ზოგიერთ სოფლებში ახლა აწყობენ მილებს, ჩვენს სოფელში კი რა ხანია ჩაწყობილია, მაგრამ წყალი არ მოდის. ხახამშრალი მილები კარგა ხანია ელოდებიან წყალს. ძვირფასო ნიანგო! ჩვენ აღარ გვინდა წყალი, ახლა იმაზე ვფიქრობთ, რომ მილები არ გაფუჭდეს უწყლობით!..

**მოისმინა ჟანი სიხარულიძემ**

მთავარი რედაქტორი
ზურლან გემაზაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე.
⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი".
⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 30/X 75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X 75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 3735. უე 02070. ტირ. 135.070. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ადეიშვილი, ვ. ბერიშვილი, გ. თაყაძე, ვ. კუცია, გ. მახარაძე, გ. ფირცხალავა, ნ. ჯავახიძე.

7-1975




ეროვნული ბიბლიოთეკა
75-771

**ფრანკისტული** რეჟიმის ახალმა დანაშაულმა — ხუთი ესპანელი პატრიოტის: ანხელ ოტაეგის, ხუან პარედეს მანეტის, ხოსე უმბერტო ბაენას, რამონ გარსია სანსისა და ხოსე ლუის სანჩეს ბრავოს სიკვდილით დასჯამ, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის, ყოველი პატიოსანი ადამიანის გულისწყრომა გამოიწვია.

ნაცადი მეთოდით

ნახ. ვ. ლომიძისა